ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ 1971 ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐᲞ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ ● № 142 (15052)

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ—ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ —ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ

ᲣᲙᲕᲔ მთავრდება ახალი ხუთწლედის პირველი წლის ნახევარი. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები ბეჯითად იბრძვიან სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის. ხუთწლიანი გეგმის შესრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, რომელიც შეიცავს ამოცანების კომპლექსს, მათ შორის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

თქმა არ უნდა, იყო დრო, როცა გვაკლდა ყველაზე საჭირო რამ და მთავარი საზრუნავი ის იყო, რომ როგორმე დაგვკმაყოფილებინა მოთხოვნილება ტექნიკაზე, სათბობზე, ტანსაცმელსა და სხვა. ახლა საწარმოო ძალები ისე განვითარდა, რომ ქვეყანას აქვს ყველა ობიექტური შესაძლებლობა მკვეთრად სრულყოს თავისი პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

სკკპ XXIV ყრილობაზე ამბანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის საანგარიშო მოხსენებაში თქვა: რა თქმა უნდა, რაოდენობრივი მხარე ჩვენთვის ახლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი უფრო სრულად და თანმიმდევრულად უნდა შეივსოს პროდუქციის ხარისხისა და საწარმოს საქმიანობის ეკონომიური მხარის მაჩვენებლებით. მაგალითად, თუ ესა თუ ის ხელმძღვანელი ანგარიშს აბარებს პროდუქციის წარმოებისათვის, მისი მუშაობის დასაბუთებულად შეფასება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ გავიკითხავთ: რა ფასად არის ეს მიღწეული. და თუ ეს ფასი მეტისმეტად დიდი იქნება, თუ მან თვითონ შეასრულა გეგმა, ხოლო ჩაფუშა კოოპერირებული მიწოდებანი და დაალატა სხვა საწარმოები, თუ ერთ ადგილას წარმატებამ გამოიწვია მეორე უბანზე წარუმატებლობა, ასეთი ხელმძღვანელი ძეგის კი არა, ბაკირიტიკების ღირსია.

ნაწარმის ხარისხის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესება სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი მთავარი მიზანია ახალანდელ ეტაპზე. ეკონომიურმა რეფორმამ კიდევ უფრო აამაღლა ამ მაჩვენებლის როლი, მეტადრეულ დააკავშირა ერთმანეთთან თვითეული კოლექტივის ინტერესები და მთელი სახალხო მეურნეობის ინტერესები.

უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში გაძლიერდა ბრძოლა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მთელმა რიგმა ფაბრიკებმა და ქარხნებმა სასურველ შედეგებს მიაღწიეს. თბილისის თამბაქოს № 2 ფაბრიკის სიგარეტებმა „მზიურმა“ და „ივერიამ“ ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიიღეს, საწარმოს უკანასკნელ ხანებში არცერთი რეკლამაცია არ მიუღია, რეალიზაციის დავალებას მუდამ დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის დიდი მუშაობა ჩაატარეს თბილისის მაუდ-კამვოლისა და გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატებში. თუ რამდენიმე წლის წინათ საწარმოებს წუნის ტვირთი ძძიმე უკონომიურ პირობებში აყენებდა, ახლა ეს მდგომარეობა გამოსწორდა, აქაურ ქსოვილებზე დიდი მოთხოვნილებაა, რეალიზაციის დავალება გადაჭარბებით სრულდება, მინიმუმამდე შემცირდა რეკლამაციები, შემცირდა გაუმართლებელი ხარჯები, განმტკიცდა წარმოების რენტაბელობა.

მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ყველგან და ყოველდღიურად არ მიმდინარეობს ხარისხისათვის ბრძოლა. ჯერჯერობით ბევრი საწარმოს პროდუქცია მთლიანად არ შეესაბამება თანამედროვე დონეს და მომხმარებელთა მოთხოვნებს. არის შემთხვევები, როცა მთელი რიგი საწარმოები უშვებენ ცუდი ხარისხის ნაკეთობებს, არღვევენ მოქმედ სტანდარტებს. მაგალითად, ამ მიზეზით აეკრძალათ სავაჭრო ორგანიზაციებს გალის რაისამრეწველო კომბინატიდან საბნის შალითების სარეალიზაციოდ მიღება. კახპის რაისამრეწველო კომბინატში საქონლის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციამ შეამოწმა ლოგინის ჩასაწყობი ტახტები და ტანსაცმლის კარადები. შემოწმებული პარტიიდან დაწუნებულ იქნა 46,6 პროცენტი და საწარმოს უკან დაუბრუნდა. ჭეშმარიტად სამარცხვინო ფაქტია.

წუნმა დიდ ფინანსურ სიძნელეებამდე მიიყვანა თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკა. იმის გამო, რომ აქ შეკერილი ტანსაცმელი უხარისხოა, მოდა მოძველებულია, მის მიღებაზე სავაჭრო ორგანიზაციები მასობრივად უარს აცხადებენ. ამჟამად საწარმოს საწყობში 1 მილიონზე მეტი მანეთის შეკერილი ტანსაცმელი აწყვია. ასეთივე არასახარბიელო მდგომარეობა აქვს ქუთაისის № 1 სამკერვალო გაერთიანებას.

პროდუქცია წარმოებაში იქმნება. ცხადია, წუნიც აქ იბადება. მაგრამ გასაკვირველია ის, რომ სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები არ ცდილობენ წუნის გამოსწორებას. უცდიან სავაჭრო ორგანიზაციებს, როდის დაუწუნებენ ნახელავს.

საქართველოს სსრ მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების მთელ რიგ საწარმოებში დიდი რაოდენობით აქვთ წუნი. დროა მივიღოთ გადამწყვეტი ზომები. პროდუქცია რომ ვაწარმოოთ და საწყობში დავაწყოთ, ასეთი შრომით ნამი ვერ ეყვანთა.

ზრუნვა სამრეწველო პროდუქციის ტექნიკური დონის, სიმძლეობისა და სარგებლობის გადიდებისათვის, ხარისხის გაუმჯობესებისათვის სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების, ყველა მშრომელის პირდაპირი მოვალეობაა. ამისათვის ბოლომდე უნდა ვიყენებდეთ როგორც მატერიალურ, ისე მორალურ სტიმულებს, ეკონომიური რეფორმის შესაძლებლობებსა და უპირატესობებს. ახალ პირობებში კარგი შედეგები მოსდევს მოწინავე საწარმოოთა გამოცდილების დანერგვას, რომლებმაც შეიმუშავეს საინჟინრო-ტექნიკურ, ორგანიზაციულ და ეკონომიურ ღონისძიებათა სისტემა ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესებისათვის. კვლავაც უნდა ვეძებოთ ამ მიზნის მისაღწევი ეფექტიანი გზები, განვაზოგადოთ და გავავრცელოთ ყოველივე სასარგებლო.

რა თქმა უნდა, რესპუბლიკის საწარმოებში ბევრია მონდომებული, უნარიანი მუშა, ნიჭიერი ინჟინერი. მაგრამ პროდუქციას უშვებენ დიდი დეფექტებით. და ამაში დამნაშავეა რომელიღაც მუშა, რომელმაც გამოუშვა წუნი, მაგრამ გვერდით მდგომს ეს გამოეპარა, ოსტატმა და ინჟინერმა თვალი აარიდეს. ეკონომისტმა „ობიექტური“ გამართლება გამოუნახა. რაკი ერთხელ შერჩა, პირველს მეორე მოჰყვა, შემდეგ მის ასეთ საქციელს აღარც კი ამჩნევენ. აი რატომ არის საჭირო, რომ პარტიული ორგანიზაციები, სამეურნეო ხელმძღვანელები, საზოგადოებრიობა აძლიერებდნენ თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობას კარგი პროდუქციის გამოშვებისათვის, კოლექტივები ქმნიდნენ შეურიგებლობის ვითარებას ტექნოლოგიური და შრომითი დისციპლინის ყოველგვარი დარღვევისათვის. და რა თქმა უნდა, ყველა საწარმოში უნდა მოქმედებდეს მაღალი ოსტატობის, კეთილსინდისიერების, ინიციატივის მორალური და მატერიალური სტიმულირების ეფექტიანი სისტემა.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს მომდინარე წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. მასში ერთ-ერთ პირველ მუხლად შეტანილია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. ახლა მთავარია განუხრელად ვიბრძოლოთ მისი შესრულებისათვის.

12 ᲡᲐᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲐᲕᲘᲦᲝᲗ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ, ᲓᲐᲕᲫᲕᲘᲜᲝᲗ ᲜᲐᲛᲯᲐ, ᲜᲐᲬᲕᲔᲠᲐᲚᲖᲔ ᲕᲗᲔᲡᲝᲗ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘ.



ᲞᲣᲠᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲙᲐ ᲒᲐᲩᲐᲦᲓᲐ

ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘᲡ რაიონის ტიბაანის კოლმეურნეობის მექანიზატორმა გ. ლათიბაშვილმა სასახელო ინიციატივა წამოიწყო — 12 სამუშაო დღეში უდანაკარგოდ აიღონ პურეული, ხოლო ნამჯა შეაგროვონ და სათანადო ადგილზე დაზვინონ, ნაწვერალზე დათესონ სასილოსე სიმინდი, ინიციატორს პირველები წითელწყაროელი მექანიზატორები გამოეხმაურნენ, ხოლო ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორმა ვ. კაკალაშვილმა თვით ინიციატორი გამოიწვია შეჯიბრებაში.

წითელწყაროს მინდვრებში გაჩაღდა თავთავიანი კულტურების მკა, ნამჯის შეგროვება, ნაწვერალზე სასილოსე სიმინდის თესვა. ამ საქმეში წინ მიდიან ზემო მაჩხაანის, არბოშიკის, ზემო ქედის, ქვემო ქედის, არხილოსკალოს, ჯაფარიძის და სხვა კოლმეურნეობები.

სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორებმა ტიბაანელი გ. ლათიბაშვილის მაგალითით დაიწყეს მოსავლის აღება. აქაურმა მექანიზატორებმა ბ. გოგაშვილმა, ე. გოგაშვილმა და დ. ბიკაშვილმა ვალდებულება იკისრეს ათ სამუშაო დღეში თვითეულმა მოსავალი 220 ჰექტარზე აიღოს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ქვემოთ — ქერის მოსავლის აღება არბოშიკის კოლმეურნეობის მინდვრებში, ზევით — კომბაინერები ბ. გოგაშვილი, ე. გოგაშვილი და დ. ბიკაშვილი მინდვრად.

ფოტო ბ. ᲑᲝᲒᲝᲛᲘᲚᲘᲡᲐ და ს. ᲫᲘᲚᲐᲫᲘᲡᲐ.

ᲙᲕᲚᲔᲕᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲖᲠᲣᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, 21 ივნისი (სატელ.): ორიტულ სადგურ „სატელიტზე“ ბარეთ ხუთეულერო ვარსკვლავის მესამე ეერა.

ლენინ ორგანიზებულ სადგურის ორიტულ ავტომატურ-ოპერატორია „ორიონის“ მუშაობა. სადგურის საერთო ორიენტაციის საჭირო ოპერაციების შესრულების შემდეგ მორიგი გარშემოვლის დროს სავიზირო სისტემის საშუალებით „ჩაიჭირეს“ გველისმჭერი თანავარსკვლავედის ერთ-ერთი ვარსკვლავი. „ორიონის“ ავტომატური მოწყობილობანი და სათვალთვალო სისტემა კარგად მუშაობდნენ.

შემდეგი გარშემოვლის დროს შესრულდა ექსპერიმენტი ასტროფიზიკური ობსერვატორიის მუშაობის გაფართოებული პროგრამის მიხედვით. ინჟინერ-გამომცდელი ვ. პაცაევი პულტიდან ერთდროულად მართავდა ობსერვატორიის ორი ვარსკვლავური ტელესკოპის მუშაობას, რომელთაგან ერთ-ერთი განლაგებულია სადგურის კორპუსის გარე ნაწილზე, მეორე — შიგნით. ორივე ტელესკოპი მიმართული იყო ერთი და იმავე ვარსკვლავისაკენ — ლირის თანავარსკვლავედის ალფა ვარსკვლავისაკენ. ორი ტელესკოპის ერთდროული მუშაობა მიზნად ისახავს სპექტრის ორი სხვადასხვა დიაპაზონით ვარსკვლავის ულტრაიისფერი გამოსხივების სპექტროგრამების მიღებას. საკონტროლო გადამწოდების ჩვენებებისა და ვ. პაცაევის მოხსენების თანახმად ორი ტელესკოპის ერთად მუშაობის ექსპერიმენტმა წარმატებით ჩაიარა. ამ ექსპერიმენტს ბევრად შეუწყო ხელი სადგურის მეთაურის გ. დობროვოლსკისა და ბორტინჟინრის ვ. ვოლკოვის ზუსტმა და შეწყობილმა მუშაობამ გათვალისწინებული ვარსკვლავებისადმი სადგურის ორიენტაციაში.

სამუშაო დღის პროგრამის შესრულების დროს გრძელდებოდა პირველადი კოსმოსური გამა-გამოსხივების კვლევა, მოეწყო სადგურის ორბიტის დონეზე ელექტრონული ფონის, აგრეთვე კოსმოსური სხივების ბირთვების დამუხტული სპექტრის ინტენსივობის რეგისტრაცია.

კოსმონავტებმა მოაწყეს სამედიცინო კვლევის მორიგი ციკლი. სადგურის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს.

ᲙᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲥᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲑᲐᲡᲣᲚ წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკეთ, ვიდრე წინა წლებში, მოაწყეს უხვი, წვნიანი და კონცენტრირებული საკვების წარმოება, დაგროვება და შენახვა. ამის მეოხებით ამაღლდა პირუტყვის პროდუქტიულობა, გადიდდა ხორცის, რძის, მატყლის წარმოებისა და შესყიდვის მოცულობა, შემცირდა მათი თვითღირებულება და საზოგადოებრივი მეცხოველეობის ზარალიანობა, მაგრამ, როგორც აღნიშნულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ ამ დღეებში მიღებულ დადგენილებაში, ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ შარშან ვერ შეასრულა საკვების დაგროვების დავალებანი. დაბალი მაჩვენებლები ჰქონდათ ბოლნისის, ტყიბულის, თიანეთის, მცხეთის, წყალტუბოს, ზუგდიდის, მარნეულის რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობებს.

მიუხედავად იმისა, რომ ერთგვარად გაიზარდა მარცვლეულის მოსავლიანობა, იგი ჯერ კიდევ დაბალია, რაც მეურნეობებს შესაძლებლობას არ აძლევს საკმაო რაოდენობით გამოყოფენ კონცენტრირებული საკვები მეცხოველეობის საჭიროებისათვის.

საკვების დაგროვების გეგმის შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზი, აღნიშნულია დადგენილებაში, ის არის, რომ ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა უხეშად არღვევდა საკვები კულტურების თესვის, დამუშავებისა და აღების აგროტექნიკურ ვადებს, უშვებდა დიდ დანაკარგებს მათი აღებისას, არ იყენებდა ორგანულ და მინერალურ სასუქებს. ამიტომ ისინი სამარცვლე და სასილოსე სიმინდის, სოიის, ერთწლიანი და მრავალწლიანი სათივე ბალახების მცირე მოსავალს იღებდნენ. დაბალია აგრეთვე ბუნებრივი საკვები სავარგულების — საძოვრებისა და სათიბების პროდუქტიულობა, რომელთა ხვედრითი წონა რესპუბლიკის საერთო საკვებ ბალანსში 60 პროცენტს შეადგენს.

ამ მიზეზების გამო მეურნეობები იძულებული არიან ყოველწლიურად შეიისყიდონ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ უხეში საკვები, რაც მნიშვნელოვნად ადიდებს მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულებას.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ მარცვლეულისა და საკვები კულტურების წარმოების გადიდების შესაძლებლობანი საკმარისად არ არის გამოყენებული. სახნავი ფართობის, მათ შორის სარწყავის, მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუყენებელი რჩება, ჯერჯერობით ყურადღება არ ექცევა სანაწვერალო და საშუალედო ულტურებს, განსაკუთრებით სანაწვერალო სიმინდის თესვას. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები. ურიგდებიან ამ ნაკლოვანებებს, არ ახორციელებენ გადამწყვეტ ღონისძიებებს იმ პირთა შიმართ, რომლებიც უშვებენ დარღვევებს, ჯეროვნად არ ეხმარებიან მეურნეობებს საკვების წარმოების ორგანიზაციაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“, პარტიის საოლქო, რაიონულ (საქალაქო) კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, სოფლის მეურნეობის სამმართველოებს, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სპეციალიზებულ ტრესტებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ერთი კვირის ვადაში შეამოწმონ და განიხილონ თვითეული რაიონის, ტრესტისა და მეურნეობის მიხედვით უხეში და წვნიანი საკვების აღებისა და დაგროვების საქმეში არსებული ჩამორჩენის მიზეზები, საკვები კულტურების ნათესების მოვლა-დამუშავების, სანაწვერალო და საშუალედო კულტურების თესვის მდგომარეობა, რათა დაუთესავი არ დარჩეს თავთავიანი კულტურებისაგან განთავისუფლებული სარწყავი ფართობები, აგრეთვე ნასვენი მიწები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ წინადადება მისცეს დასახონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ ყოველი ღონისძიებით გადიდდეს უხეში და წვნიანი საკვების წარმოება და აუცილებლად შესრულდეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში საკვების წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, რისთვისაც:

განამტკიცონ გამოცდილი მუშაკებით საკვებმომამზადებელი ბრიგადები და რგოლები, ხოლო იქ, სადაც არ არიან, შექმნან ისინი. სრული დაკვირვითი გამოიყენონ საკვების დამზადების სამუშაოებზე ტრაქტორები, სპეციალური მანქანები, საავტომობილო და სხვა ტრანსპორტი, უზრუნველყონ მოკლე ვადებში თივის უდანაკარგოდ აღება, ნამჯის შეგროვება და დაზვინვა;

ფართოდ გამოიყენონ ნათესი ბალახების მორწყვა, ამათი განმეორებითი მოთიბვა, თივის, ნამჯის აღება, შეავსონ საკვების სადაზღვევო ფონდები ზამთრის საძოვრებზე;

განახორციელონ ღონისძიებანი საკვების დასილოსების დავალებათა უთუოდ შესრულებისათვის, სასილოსე ნათესების მოსავალთან ერთად მთლიანად გამოიყენონ ჩასადებად სასილოსედ ვარგისი მთელი ნედლეული;

თვალყური ადევნონ ვიტამინიანი ბალახის ციოლოვანი ფქვილის დროულად აღებასა და დამზადებას, უზრუნველყონ მისი წარმოების დავალებათა შესრულება. ამასთან სრული დატვირთვით გამოიყენონ სპეციალური მანქანები და აგრეგატები;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აღებული და დამზადებული საკვების ზუსტი აღრიცხვის ორგანიზაციას, მის მიტანას მეცხოველეობის ფერმებში.

სანაწვერალო კულტურების ნათესებმა წითელწყაროს რაიონში უნდა დაიკავოს 4.000 ჰექტარი, სიღნაღის — 3.500, გურჯაანის — 900, ლაგოდეხის — 3.500, ყვარლის — 1.600, თელავის — 1.100, ახმეტის — 700, საგარეჯოს — 1.500, ბოლნისის — 1.300, თეთრი წყაროს — 500, მარნეულის — 4.000, გარდაბნის — 4.000, მცხეთის — 600, კასპის — 500, გორის — 850, ქარელის — 450, წულუკიძის — 150, ზესტაფონის — 100, წყალტუბოს — 100, თერჯოლის რაიონში — 250, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 400, ხოლო სულ რესპუბლიკაში — 30.000 ჰექტარი.

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების დაინტერესება საკვების აღებისა და დამზადების დროულად და ხარისხიანად ჩატარებით, მომდინარე წელს საბჭოთა მეურნეობისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს (უფასოდ) ლამატებითი ანაზღაურების სახით თივის, ნამჯის აღებაზე და სილოსის დამზადებაზე დასაქმებულ მუშაკებს, აგრეთვე მიაყიდონ დაგეგმილი თვითღირებულების მიხედვით საბჭოთა მეურნეობისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუდმივ მუშაკებს, რომლებსაც ყავთ პირადი საკუთრების შინაური პირუტყვი, თივის მოსავლის, დამზადებული სილოსის 10 პროცენტამდე და ნამჯის 20 პროცენტამდე.

კოლმეურნეობებს რჩება მიეცათ გამოიყენონ აღნიშნული წახალისებანი, აგრეთვე წახალისების სისტემა მოსავლის მასობრივი აღების პირველი დღეების პერიოდში (მაგრამ არაუმეტეს 10 დღისა).

სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებმა უნდა დააწესონ მტკიცე კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი, განახორციელონ ოპერატიული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და შედეგები დროულად მოახსენონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

(საქდესი).

ᲙᲣᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ

ᲒᲐᲛᲝ

ᲐᲛᲐ ᲬᲚᲘᲡ 10-21 ივნისს საბჭოთა მთავრობის მოწვევით საბჭოთა კავშირში იყო კუბის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი რაულ როა გარსია. სსრ კავშირში ყოფნის დროს იგი მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა. გაიმართა აგრეთვე საუბარი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ა. ნ. კოსიგინთან. შეხვედრები და მოლაპარაკება მოეწყო მინისტრ რ. როა გარსიასა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ა. ა. გრომიკოს შორის.

გარდა მოსკოვისა, რ. როა გარსია და მისი თანმხლები პირნი იყვნენ ლენინგრადში, კიევში, სევასტოპოლსა და იალტაში, სადაც გაიცნენ საბჭოთა ხალხის მიღწევებს კომუნისტური მშენებლობაში. სოციალისტური კუბის წარმომადგენლებს ყველგან გულთბილად და მეგობრულად ხვდებოდნენ.

ვიზიტის შესახებ კომუნიკეში ნათქვამია, რომ შეხვედრებისა და საუბრების დროს, რომლებიც გულთბილებისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, გაიმართა აზრთა საფუძვლიანი ურთიერთგაზიარება საბჭოთა კავშირ-კუბის ურთიერთობის ბევრ საკითხზე, აგრეთვე აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

კმაყოფილებით აღინიშნა, რომ სსრ კავშირსა და კუბის რესპუბლიკას შორის ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ურთიერთობა, რომელიც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, თანასწორუფლებიანობისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპები, კვლავ წარმატებით ვითარდება ყველა დარგში.

მხარეები აღნიშნავენ, რომ მზად არიან კვლავაც ყველაფერი იღონონ საბჭოთა კავშირ-კუბის ურთიერთობის ძმური ურთიერთობის განმტკიცებისათვის. კომუნიკეში ხაზგასმულია, რომ საბჭოთა მხარემ კმაყოფილებით აღნიშნა მნიშვნელოვანი წარმატებანი, რომლებსაც კუბის მშრომელებმა მიაღწიეს კუბის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტური მშენებლობის დარგში, ჭუბის რესპუბლიკის საგარეოპოლიტიკური პოზიციების განმტკიცებაში.

კუბის მხარემ აღნიშნა, რომ სკკპ XXIV ყრილობაზე მიღებულმა პროგრამამ, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფას, საყოველთაო მოწონება დაიმსახურა კუბის რესპუბლიკაში, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიური ძლიერების ზრდასა და მის უდიდეს პროგრესს მეცნიერებასა და ტექნიკაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ხალხთა ბრძოლაში.

მოლაპარაკების დროს, ნათქვამია შემდეგ, კომუნიკეში, ჯეროვანი ყურადღება დაეთმო ლათინური ამერიკის მდგომარეობას, სადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ კონტინენტის ხალხთა მისწრაფება მიაღწიონ ნამდვილ პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დამოუკიდებლობას იმპერიალისტურ მონობოლიათა ბატონობის ლიკვიდაციის გზით.

მხარეებმა განაცხადეს, რომ სრული სოლიდარობით ეკიდებიან ინდოჩინეთის ხალხთა გმირულ ბრძოლას.

მხარეებმა განაცხადეს, რომ საკუთარ უჭირერ მხარს არაბი ხალხების სამართლიან ბრძოლას ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის, აღნიშნეს ევროპის უშიშროების პრობლემების დადებითად გადაჭრის დიდი მნიშვნელობა.

ორივე მხარეს მიაჩნია, რომ კუბის საგარეო საქმეთა მინისტრის რ. როა გარსიას ვიზიტი სსრ კავშირში, შეხვედრები და საუბრები დადებითი წვლილია სოციალისტურ კუბასა და საბჭოთა კავშირს შორის ძმური მეგობრობის, მრავალმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებაში. (საქდესი).

ᲒᲐᲕᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲗ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტმა გამოაქვეყნეს მიმართვა მშვიდობის მომხრეთა, ომის ვეტერანთა, წინააღმდეგობის მებრძოლთა, ფაშისტური საპყრობილეებისა და საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილ ტყვეთა ყველა საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციისადმი.

ჩვენს სიმშობლოზე ფაშისტური ურდოების მუხანათური თავდასხმის 30 წლისთავის დღეს მილიონობით საბჭოთა ადამიანის სახელით მიმართვის ავტორები მოუწოდებენ ყველა მშვიდობის მომხრეს, ყოფილ ფრონტელს, პატიზანებს, წინააღმდეგობის მებრძოლებს, ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკებისა და ციხეების ყოფილ პატიმრებს, ერთიანად ავაშენოთ ევროპა, ავაშენოთ ევროპა ომის, ფაშიზმის, ბოროტების, ძალადობის, ეროვნული ჩაგვრისა და ექსპლუატაციისგან თავისუფალი, ავაშენოთ ევროპა, ავაშენოთ ევროპა ეროვნული ერთიანობისა, ეროვნული ინდივიდუალობის, ეროვნული ენებისა, ეროვნული კულტურებისა, ეროვნული ტრადიციებისა, ეროვნული ეკონომიკისა, ეროვნული ინტერესებისა, ეროვნული ბედნიერებისა, ეროვნული ეროვნული ეროვნული ... ე�ული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნ

პარტიული ცხოვრება

ამოისვინეს, დაადგინეს... ფიდეგი?

ავტომანქანა ნელი სვლით მიიწევს წინ, გაჭირვებით სძლევს უხვირო გზის ორორ-ჩორერო ზედაპირს. უკან მოვიოლვეთ სავარდო და სამაისო ქუთაისი, ჩვენს წინ აღიმართა საშენ მასალათა სამინისტროს მოწამეთის კირის ქარხნის სილუეტი. კირის ეს უძველესი საწარმო, რომელიც თავის პროფესიას რესპუბლიკის ასზე მეტ მოხმარებელს უგზავნის, ქალაქ ტყიბულის ტერიტორიაზე მდებარეობს.

ი ქარხანაც. ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებთ მის კოლუსებს, ქვის დამამზადებელ კარიერს, დამხმარე ნაგებობებს. დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ რაც აქ ვიყავი. გონების თვალით ვადარებ საწარმოს მაშინდელ და ახლანდელ მდგომარეობას. სიახლეს ეძებ, მაგრამ ამაოდ. მოღებული შთაბეჭდილება მანიცდამანიც სასიამოვნო როდია. განწყობილებას განსაკუთრებით აფუჭებს ზოგიერთი მოძველებული ლოზუნგი, რომელიც დიდი ხნის წინათ ბუნკერის ზედზე წაუწერიათ. ვერსად შეხვდებით მამობილიზებელ პლაკატებსა და მოწოდებებს.

უყურადღებობის ამ ფაქტმა გულ მატკინა, დამაფიქრა და გადაგწყვიტე გავცნობოდი პირველადი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას (მდივანი ბ. გოგოლაშვილი).

მაგიდაზე დევს პარტიული კრებების რვა ოქმი. ვათვალიერებ კრებებზე განხილულ საკითხებს, ყოთხულობ კომუნისტების გამოსვლებს, დადგენილებებს.

ჩემი ყურადღება მიიპყრო მიმდინარე წლის 18 მარტს მოწვეული პარტიული კრების ოქმმა. „ავტო-მასობრივი მუშაობის მიმდინარეობა ქარხანაში", — ასეთია დღის წესრიგი. თავიდან ბოლომდე წაიკითხე საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის რ. მარღანიას, კომუნისტების დ. გვენეტაძისა და ბ. ბრეგაძის გამოსვლები. ისეთი მოურიგებლად ლაპარაკობენ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ნაკლოვანებებზე, აკრიტიკებენ ავტატორებს, რომლებმაც მიიღწიეს თავიანთი საქმე. გადაყოთვალიერე დადგენილებაც, რომელიც ცხრა ფუნქციასგან შედგება.

მოსალოდნელი იყო, რომ ასეთ დადგენილებას მოჰყვებოდა ცოცხალი საქმე, გამოსწორდებოდა ნაკლოვანებანი, გაუჭრიბესდებოდა საავტიციო მუშაობა. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე როდი მოხდა. დადგენილების მიღებიდან ორნახევარი თვე გავიდა, ამ ხნის მანძილზე კი აბსოლუტურად არაფერი გაკეთებულა. კომუნისტები, და მათ შორის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, სრულიად უგანსუხისმგებლოდ მოეკიდნენ მიღებული დადგენილების შესრულებას. იმის გამო, რომ კრების შემდეგ აქ არ იზრუნეს დადგენილების შესრულების ორგანიზაციაზე, იგი ქაღალდზე დარჩა.

ადმინისტრაციული შენობის უსუფთაო და ბნელ დერეფანში თვალში მოგხვდებათ კედელზე მიყუდებული სპატიო დაფა. ამ აქ სხვა დროსაც ჰქონდა ადგილი. პარტიულ მუშაობაში მთლიანად უგულებელყოფილია დადგენილების შესრულების შემოწმების საქმე. პარტიულ კრებაზე კომუნისტებს არ მოახსენებენ წინა კრებაზე მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობას, ან და მოახსენებენ მხოლოდ იმისათვის, რომ ფორმალურად მოიხადონ ვალი.

ერთ-ერთ პარტიულ კრებაზე, რომელიც გასული წლის ოქტომბერში გაიმართა, ზამთრისათვის მზადების საკითხი განიხილეს. მომხსენებელმა — საამქროს უფროსმა დ. გვენეტაძემ ოოკლად ილაპარაკა ქარხანაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. კომუნისტები სამართლიანად იყვნენ შემფოთებული იმის გამო, რომ საწყობში არ ჰქონდათ ქვისა და საწვავი მასალის საჭირო მარაგი, უწესივრო მდგომარეობაში იყო ელექტრომეურნეობა, სასადილოსა და მუშათა საერთო საცხოვრებელს ესაჭიროებოდა შეკეთება, არ იყო სასმელი წყალი. კრების ოქმიდან ჩანს, რომ კომუნისტებმა მოისმინეს და დაადგინეს... ზაეთ თეთრ ქაღალდზე დაწერეს, თუ ვის რა და როდის უნდა გაეკეთებინა და საქმე ამით დაამთავრეს. გავიდა საამაო ხანი. პარტიული ორგანიზაცია და მისი მდივანი არც კი დაინტერესდნენ, თუ როგორ სრულდებოდა მიღებული დადგენილება. ასეთ გულგრილობას კი ის შედეგის მოჰყვა, რომ დადგენილების მთელი რიგი პუნქტები შეუსრულებელი დარჩა. ამან უარყოფითი, სამწუხარო დაღი დაასვა ქარხნის მუშაობას. პირველსავე თოვლმა შეაფერხა პროდუქციის გამოშვება. თებერვალ-მარტში ჩაიშალა კირის გამოშვების სახელმწიფო გეგმა. მაგალითად, თებერვალში ქარხანა ქვის მარაგის უქონლობის გამო სანახევროდ მოცდა. გეგმით გათვალისწინებული 680 ტონის ნაცვლად 402 ტონა კირი გამოუშვა და დავალება 60 პროცენტით შეასრულა.

კრებამ მუშათა საერთო საცხოვრებლისა და სასადილოს შეკეთების ორგანიზება ქარხნის დირექტორს შ. იობიძეს დაავალა, წყალსადენი მილების შემოზიდვა — მომარაგების უფროსს — ვ. ბრეგაძეს, ხოლო საერთო საცხოვრებლის საკამურების გაწმენდა — კომენდანტ გ. ათუხაიძეს. სამწუხაროა ის არის, რომ კომუნისტებმა დაავალა მითითებულ დროში არ შეასრულეს და მუშათა საერთო საცხოვრებელი ახლაც საშალოდ მდგომარეობაშია: მას ჩამტვრეული აქვს ფანჯრები, ხოლო იატაკი და „იბე"—შესაკეთებელი. სასადილოს რემონტი თვეობით გააჭიანურეს. დიდი ხნის მანძილზე მუშა-მოსამსახურეებისათვის არ მზადდებოდა ცხელი კერძები.

ვინ როგორ ასრულებს პარტიულ დავალებას? გამოირკვა, რომ წესრიგი და ორგანიზებულება არც აქ იკვნძნობა. ზოგიერთი კომუნისტი ან სრულებით არ ასრულებს მიცემულ დავალებას, ან ფორმალურად ეკიდება მას. კომუნისტი ვ. მაჭკვალაძე ქარხანაში სახალხო კონტროლის ჯგუფს ხელმძღვანელობს. ხელმძღვანელობსო, ვამბობთ, თორემ ეს რა ხელმძღვანელობაა! ჯგუფის წევრთა ხეირიანი სიაც არ გააჩნია, იშვიათად იწვევს ჯგუფის სხდომას. კონტროლიორები ინიციატივას და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობას არ იჩენენ. ვ. მაჭკვალაძე ფორმალურად ეკიდება მეორე პარტიული დავალების შესრულებასაც. იგი „დოსაფის" კომიტეტის თავმჯდომარეა, მაგრამ მუშაობით არც იქ იწუხებს თავს. წელს საწვიფოს აკრეფაც კი ვერ მოახერხა. 11 კომუნისტიდან ხუთს არა აქვს მიცემული პარტიული დავალება.

ქარხანაში ჩვეთრად იგრძნობა შრომის დისციპლინის დაბალი დონე. ადმინისტრაციული პერსონალი ხშირად არ ცხადდება სამუშაოზე. ერთ-ერთი პარტიული კრების მითითებით აქ შემოიღეს სამუშაოზე გამოცხადება — წასვლის ჟურნალი, მაგრამ ჩანაწერებს სისტემატურად არ აკეთებენ. 27 და 28 მაისს აღნიშნული ჟურნალი ვერც კი გვიჩვენეს.

როგორც ყველაფრიდან ჩანს, მოწამეთის კირის ქარხანაში ნაკლებად იგრძნობა კომუნისტთა ორგანიზატორული, დამრახმავი როლი, აქტივობა და თაოსნობა, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა. პარტიული ორგანიზაცია ღრმად ვერ სწვდება წარმოების ეკონომიკას.

მთელ ქალაქში მხოლოდ მოწამეთის ქარხნის კოლექტივმა ვერ შეასრულა მიმდინარე წლის პირველი ხუთი თვის სახელმწიფო დავალება. მოწამეთის კირზე მომხმარებელი ხშირად გზავნის რეკლამაციას. განსაკუთრებით დიდი პრეტენზიები აქვს ენგურის ქაღალდის კომბინატს. წელს ენგურელებმა ოთხჯერ გამოუგზავნეს მოწამეთელებს რეკლამაცია კირის დაბალი ხარისხის გამო და უარი უთხრეს ღირებულების გადახდაზე.

პარტიული მუშაობა შემოქმედებითი საქმეა. იგი ვერ ითმენს ფორმალიზმს, შტამპს. ეს ჭეშმარიტება არ უნდა დაივიწყონ მოწამეთელმა კომუნისტებმა.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების რესპუბლიკური თათბირი

თბილისში, რკინიგზელთა სახლში გაიმართა საქართველოს პროფკავშირების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების რესპუბლიკური თათბირი, რომელიც მიეძღვნა ამ დაწესებულებათა ამოცანებს XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საკავშირო პროფსაბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, პროფკავშირთა საოლქო საბჭოებისა და დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები, პროფკავშირული აქტივი.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ნ. ვასაძემ.

პროფკავშირთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის გამოცდილების შესახებ ილაპარაკეს თათბირზე თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლის დირექტორმა ა. შავიშვილმა, თბილისის დმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ლომიძემ, აჯარის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს მდივანმა გ. კიკნაძემ, გაგრის მეცხრეულეობის საბჭოთა მეურნეობის კულტურის სახლის დირექტორმა, ნ. ებანოიძემ, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ვ. კუპრავამ, კვების მრეწველობის საწარმოო-ტექნიკური პროგრესის სახალხო უნივერსიტეტის ლექტორმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. ზაუტაშვილმა, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ქალთა შორის მუშაობის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ჟურნალ „საქართველოს ქალის" მთავარმა რედაქტორმა მ. ბარათაშვილმა.

თათბირზე გამოვიდა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ლ. ზემლიანოვა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე თ. მოსაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ლაღიძე, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივნები ლ. ხარბედია და ო. ცანავა.

თათბირის მონაწილეთათვის გაიმართა კონცერტი საქართველოს პროფკავშირების მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების ძალებით. (საქდესი).

„მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ზრდის დაჩქარებისა და მისი ეფექტიანობის გაზრდისათვის უზრუნველყოთ მეცხოველეობის მექანიზებული ფერმების მუშეებლობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ქალაქების [illegible] ... ბათუმი, საკოლმეურნეო [illegible] ... ბათუმი, საკოლმეურნეო [illegible] ... ბათუმი, საკოლმეურნეო

„დიდმნიშვნელოვანი წინადადებანი“

რომი

22 ივნისი. (საკდესი). „სკკპ XXIV ყრილობის მიერ წამოყენებული და ლ. ი. ბრეჟნევისა და სხვა სახელმძღვანელების შემდგომ გამოსვლებში დეტალურად გაანალიზებული „მშვიდობის გეგმა“ შეიცავს მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან, თანამედროვე და სამართლიან წინადადებებს“.

ეს განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში იტალიის სენატის საგარეო საქმეთა კომისიის მდივანმა, იტალიის მშვიდობის კომიტეტის გენერალურმა მდივანმა რემო. სალატიმ.

ლ. ი. ბრეჟნევის მიერ შემოთავაზებული ხუთი ატომური ქვეყნის კონფერენციის მოწვევა, თქვა სენატორმა, უეჭველია დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს მთელი მსოფლიოს და რა, თქმა უნდა, ევროპის საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესების საქმეში, განამტკიცებს ნდობას ხალხთა შორის, საყოველთაო მშვიდობას, შეაჩერებს ატომური კატასტროფის საფრთხეს.

მშვიდობას ფასდაუდებელ სარგებლობას მოუტანს საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა ქვეყნების წინადადება სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის შესახებ და თანამშრომლობის საკითხებზე.

ევროპის ახლანდელი მდგომარეობა არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, აღნიშნა სალატიმ. საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებული კონკრეტული ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ მის ძირფესვიან გაუმჯობესებას. ამიტომ ჩვენ საესებით ეუჭერთ მხარს ამ ღონისძიებებს. მათი განხორციელებით დიდად არიან დაინტერესებული ჩვენი კონტინენტის ხალხები.

მაგრამ, არის საკითხი, რომელიც იტალიელ ხალხს განსაკუთრებით ეხება. ეს არის ლ. ი. ბრეჟნევის წინადადება შეთანხმდნენ ხმელთაშუა ზღვიდან სამხედრო-საზღვაო ფლოტების ერთდროული გაყვანის შესახებ.

ბურჟუაზიული პროპაგანდა, რომელიც თითქოს ვერც კი ამჩნევს ამერიკის მეექვსე ფლოტს, მაგრამ დღედაღამ გაკვიეს ხმელთაშუა ზღვაში რაღაც „საბჭოთა მუქარის“ შესახებ, შეცდაა: სსრ კავშირმა საქმით დაამტკიცა, რომ ესწრაფვის ხმელთაშუა ზღვა გადაქცეს მშვიდობის ზღვად. ამ წინადადებას, თქვა რ. სალატიმ, იტალიაში უაღრესად ფართოდ გამოეხმაურნენ.

მსოფლიო ღონე

მორის შუმანის ინტერვიუ

21 ივნისს საღამოს ცენტრალური ტელევიზიითა და სრულიად საკავშირო რადიოთი გადაცემულ იქნა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მორის შუმანის ინტერვიუ.

საფრანგეთი დადებითად ეკიდება უშიშროების საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევას, განაცხადა მ. შუმანმა თავის ინტერვიუში, იგი მაღალ შეფასებას აძლევს ამ ინიციატივას. თათბირი უნდა გახდეს ბლოკების პოლიტიკის ლიკვიდაციის, მსოფლიოს გათიშვის ლიკვიდაციის გზა.

მ. შუმანმა ხაზი გაუსვა, რომ საკმარისი არ არის უშიშროების საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირია მოწვევის მარტოოდენ სურვილი, საჭიროა ყველაფერი ვიღონოთ, რომ ეს თათბირი გაიმართოს. ეუნანარეს ყოველთა ისე უნდა შეიცვალოს არსებული ვითარება, რომ ხელი შეუწყოს თათბირის მოწვევას.

საფრანგეთი ცდილობს შექმნას ასეთი მდგომარეობა, სახელდობრ ცდილობს აღმოფხვრას თათბირის მოწვევის გზაზე აღმართული დაბრკოლებანი. მოლაპარაკებამ, რომელშიც პატივი მჭონდა ამას წინათ მამიგო მონაწილეობა მოსკოვში, ფიქრი შეასრულა ახრთა შეთანხმების მეოხებით ამ სასენელთა აღმოფხვრაში.

შემდეგ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შეეხო საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობას და განაცხადა, რომ ხუთი წლის მანძილზე იმ მომენტიდან, რაც 1966 წელს გენერალი დე გოლი ვიზიტით იყო სსრ კავშირში, საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა დიდად განვითარდა. ამასთან დაკავშირებით მ. შუმანმა ხაზი გაუსვა იმ ოქმის მნიშვნელობას, რომელსაც 1970 წელს მოაწერა ხელი მოსკოვში საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჟორჟ პომპიდუმ და რომელიც შეეხება შეთანხმებას, რომ რეგულარულად გაიმართოს კონსულტაციები საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე საერთაშორისო პოლიტიკური პრობლემების გამო. „პირველი ცდიდი უკვე არის, — თქვა მან, — და მთელ მსოფლიოში აღნიშნავენ, რომ ეს ცდები მიტად ნაყოფიერი იყო“.

სსრ კავშირში საფრანგეთის პრეზიდენტის, აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტების შემდეგ, თქვა დასასრულ მ. შუმანმა, და საბჭოთა კავშირის მხრივ საფრანგეთში საპასუხო ვიზიტის წინ, რომელსაც მიტად მოეთმინენად ველით, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ — და ამას ხაზს ვუსვამ, რომ მიზნისაკენ მიმავალ კეთილ გზას ვადგიართ, რომელიც შეესაბამება ჩვენი ორივე ქვეყნის ინტერესებს, მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებს.

(საკდესი).

მოსკოვი

«ინტორგმაშ-71»-ის დარბაზებში

ბრაზილიურ-ბრაზილიელ ინფორმაციის გრანდიოზული მოზღვავების ეპოქაში ცხოვრობს. დღეს შეუძლებელია, რა სფეროც უნდა ავიღოთ, ამ ინფორმაციის უუნელებელყოფა; ეს ჩამორჩენას ნიშნავს. ჩვენს თვალწინ, ჩვენს გარშემო და ჩვენს ყოფაში, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში, სერიოზული ცვლილებები მოხდა. ტექნიკა შემოიჭრა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში და მისი არსებობის განუყოფელი ნაწილი გახდა.

მაგრამ ეს ზოგა მშრალი ინფორმაცია მაინც ვერ შეცვლის ადამიანთა კონტაქტების საჭიროებას, რადგან სჯობს ერთხელ იხილო, ვიდრე ასჯერ გაიგონო. სწორედ ამიტომაც ეწყობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ასე ხშირად სხვადასხვა სახის შეხვედრები და საუბრები. გამოფენები და საინფორმაციო სიმინარები, სიმპოზიუმები და თათბირები. აქ ადამიანები ეცნობიან ერთმანეთს, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებასა და მიღწევებს, სწავლობენ, იძენენ, პოულობენ, აგებენ ხელს ეწყობენ წინსვლას, ეროვნულ ეკონომიკურ ეროვნულ ეფექტურობას ეწყობა ინფორმაციისა და მექანიზაციის საშუალებებს.

მრავალრიცხოვან ექსპონატებს შორის აღსანიშნავია ახალი ტიპის მაცივრები „ტაირი“. ეს არის ვიტრინა-დახლების მთელი „ოჯახი“, რომელსაც უშვებს მარის სავაჭრო მანქანათმშენებლობის ქარხანა. მათ შორის ყველაზე მეტი ინტერესი გამოიწვია „ტაირ-10“-მა და „ტაირ-102“-მა. პირველი არის ორმხრივი და ორიარუსიანი ვიტრინა-დახლი, სადაც პირველი იარუსი ცივდება, რაც საშუალებას იძლევა თვითმმსახურების დარბაზში +32 გრადუსი ტემპერატურის დროს ვიტრინაში შევინარჩუნოთ +4-დან +6 გრადუსამდე ტემპერატურა. „ტაირ-102“-ს ერთი მხრიდან აქვს ღია ვიტრინა-დახლი. წინა და გვერდითი კედლები მინისაა. ეკონომიური და ლამაზია.

მანქანა „მრსრ“ განკუთვნილია ხორციისა და ფრინველის ხარისხიანად დასაჭრელად. მას იყენებენ გასტრონომებში და ხორცის სპეციალიზებულ მაღაზიებში. მოლიანად გამორიცხავს ფიზიკურ შრომას.

მაგიდის სასწორი ფასისა და ღირებულების მაჩვენებელი ციფრბლატით განკუთვნილია პროდუქტების ასაწონად, ამასთან წონის გარდა აჩვენებს შესაბამის ფასს.

საინტერესო ორიარუსიანი ელექტროსატვირთავი მექანიზმები, რომლებიც განკუთვნილია სატრანსპორტო და გადატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების მექანიზაციისათვის. აკრთვეგ ასაწყობი ურიკები თვითმმსახურების მაღაზიებისთვის.

იზოთერმიული რეზერვუარიანი ლუდის გასაყიდი კიოსკი ადგილად გადაიტანება ადგილიდან ადგილზე. კიოსკის ჰერმეტიული კონსტრუქცია საშუალებას იძლევა მუდმივად შეინარჩუნოთ ლუდის გემოვნებითი თვისებები.

ლამაზად და მოხდენილად არის გაკეთებული სპეციალიზებული კაფეებისა და ბარების მოწყობილობის კომპლექტი, რომელიც თითქმის ნებისმიერ პირობებში შეიძლება იქნას გამოყენებული. შესრულების მაღალი დონე, სავაჭრო ტექნოლოგიური პროცესების სრული ავტომატიზაცია, სამაცივრო და სხვა დანადგარები ამ კომპლექტს უნიკალურსალურობას ანიჭებენ.

ჩვენ საბჭოთა პავილიონის მხოლოდ ის ექსპოზიციები დავასახელეთ, რომლებიც საუკეთესოთა შორის საუკეთესონი იყვნენ და ყველაზე მეტად უპასუხებენ დღევანდელი დღის მოთხოვნას. მაგრამ ვიმეორებ, რომ ეს მხოლოდ ნაწილია იმ 7 ათასზე მეტი ექსპონატისა, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ გამოიტანა გამოფენაზე.

საერთაშორისო გამოფენაში აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები. უდიდესი მათ შორის იყო ჩეხოსლოვაკიის ექსპოზიცია, კარგად იყო წარმოდგენილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის, უნგრეთის, კოლონეთის, რუმინეთისა და იუგოსლავიის პროდუქცია.

სოციალისტური ქვეყნების ექსპოზიციების დათვალიერებისას ერთხელ კიდევ რწმუნდებით, თუ რა დიდია მათი მიღწევები, მაგალითად, ბულგარული ტვირთსაზიდი მექანიზებული მოწყობილობა ყველაზე საუკეთესო იყო გამოფენაზე, კარგი შთაბეჭდილება დატოვეს უნარულმა ერთჯერადი ჭურჭლის დამამზადებელმა აკრეგატმა, პოლონურმა ელექტროტაფებმა და ჭურჭელსარეცხმა...

**მრავალფეროვანი იყო ჩეხოსლოვაკიური ქვეყნების ექსპოზიციები. სხვადასხვა ფირმების და საწარმოო გაერთიანებები ამზადებენ ინგლისიდან, აშშ-დან და იაპონიიდან. დანიიდან, ესპანეთიდან, გერმანიიდან, შვეიცარიიდან, ავსტრიიდან, იტალიიდან და ფინეთიდან. ... ...

დღეს მოძმე ესტონეთში

ტალინი — ერთ-ერთ ასაკვანძოზრდა

ესტონელი ფოტოჟურნალისტის ბ. ლომსის ამ ორ ფოტოსურათზე ძველი და მარადახალგაზრდა ტალინის ორი ხედია აღბეჭდილი. ზემოთ — თეატრის „ესტონეთის“ მოედანი; ქვემოთ — „კოშკების უბანი“.

მიზანია კონტაქტების გაფართოება

22 ივნისს თბილისში საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების მოწვევით ჩამოვიდა ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ტიროლის სამხარეო ორგანიზაციის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან ტიროლის სამხარეო მთავრობის მეთაურის მოადგილე ფრიც პრიორა (დელეგაციის მეთაური), ამავე მთავრობის სამხარეო სამმართველოს დირექტორის მოადგილე რიხარდ შოკორნი და ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ტიროლის სამხარეო ორგანიზაციის მდივანი ფრანც ილერი. ეს არის ტიროლელთა ს